

საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობა:
საქართველოს შემთხვევა

ანუკი ნოზაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა გოგოლაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
დეკანს გიორგი გვალას

ამავე უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
მაგისტრანტის ანუკი ნოზაძის

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანუკი ნოზაძე

25.06.2021

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება საქართველოში საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის კონცეფციისა და დონის განსაზღვრას. ბოლო წლებში, სხვადასხვა ქვეყნისათვის, აქტუალურ საკითხს წარმოადგენს საბიუჯეტო პროცესები და მათში მოქალაქეთა მონაწილეობა. სწორედ, რომ მოქალაქეთა ჩართულობის მაღალი მაჩვენებელი განსაზღვრავს ქვეყანაში არსებულ საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობას. ვინაიდან მუნიციპალიტეტი მოქალაქეების ინტერესებს გამოხატავს, შესაბამისად საჭიროა შესწავლილ იქნას, რამდენად არის უზრუნველყოფილი საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები და როგორია საბიუჯეტო პროცესებში მათი ჩართულობის დონე.

კვლევის ამოცანაა დავადგინოთ, გააჩნიათ თუ არა თვითმართველობებს შესაბამისი სერვისები, რათა უზრუნველყოს საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობა და რამდენად მიმართავს მოსახლეობა მუნიციპალიტეტებს, საბიუჯეტო საკითხებში მონაწილეობის მიზნით. კვლევისათვის აღებულია საქართველოს ყველაზე აქტიური ქალაქების ადგილობრივი თვითმართველობების რაოდენობრივი შედეგები რიგ საკითხებზე, თუ რა რაოდენობის ადამიანები იღებენ მონაწილეობას საბიუჯეტო პროცესებსა და საჯარო საკითხების განხილვაში. ასევე, მოსახლეობის რა რაოდენობაა ჩართული საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების სხდომებში, პეტიციებსა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლაში (საბიუჯეტო საკითხებზე). საერთო ჯამში, ცხრა მუნიციპალიტეტის შედეგების მიხედვით, გაირკვა, რომ თითოეული მათგანი აქტიურად იყენებს ვებგვერდს და სოციალურ მედიის საშუალებებს, რაც ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია მოქალაქეთა მონაწილეობის გაუმჯობესებასა და ინფორმირებულობაში. ვებგვერდის საშუალებით მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს თვალყური ადევნოს პროექტებს და მათ განხორციელებას. აღნიშნული სერვისი განცხადების გაკეთების მარტივი საშუალებაა, რადგან სახლიდან გაუსვლელად შეგიძლია მიიღო საჯარო ინფორმაცია ნებისმიერ საკითხზე. მათ შორის საბიუჯეტო პროცესებზეც.

თემაზე მუშაობისას გამოიკვეთა პრობლემა, რომელიც წარმოადგენს ხელისუფლების მხრიდან მოქალაქეთათვის ხელის შეწყობის დაბალ ინტერესს, რათა მოხდეს მოსახლეობის ჩართულობა საბიუჯეტო პროცესებში, ეს ყველაფერი კი გამოიხატება საჭირო სერვისების გაუმართაობაში/არასრულფასოვნებაში. გარდა ამისა მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ სპეციალური მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამა, რომლის საშუალებითაც მოსახლეობა მიიღებს ინფორმაციას საბიუჯეტო პროცესების შესახებ. იმისათვის, რომ გაიზარდოს მოქალაქეთა ინფორმირებულობა და უზრუნველყოფილ იქნას მიმართვიანობის მაღალი მაჩვენებელი, საჭიროა ყველა იმ სერვისის და პროგრამის ამოქმედება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობას აქტიურად ჩაერთონ პროცესებში. საკვლევი საკითხი სიღრმისეულად გაანალიზდა და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებიც დადებითად აისახება, როგორც თვითმმართველობებზე, ასევე მოქალაქეებზე.

აღნიშნული ნაშრომი საინტერესო იქნება, როგორც სამოქალაქო სექტორისთვის ასევე, საკითხით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის.

საკვანძო სიტყვები: მოქალაქეთა ჩართულობა, საბიუჯეტო პროცესი, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, მონაწილეობითი ბიუჯეტირება.

Abstract

The master's thesis concerns the definition of the concept and the level of citizen involvement in budget processes in Georgia. In recent years, the budget processes and the participation of citizens in them are actual issues for different countries. The high level of citizen involvement determines the effectiveness of public finance management in the country. Since the municipality represents the interests of citizens, it is necessary to study the mechanisms of citizen involvement in the budget process and the level of their involvement in it.

The aim of the research is to determine whether the self-governments have appropriate services to ensure the involvement of citizens in the budget process and to what extent the population appeals to municipalities to participate in budget issues. For research is taken quantitative results of several issues (such as: how many people participate in budget processes and in discussion of public issues) of local self-governments of the most active cities of Georgia as well as, what number of the population is involved in the meetings of the City Council and City Council commissions, petitions and public opinion polls (concerning budget issues). The results of research of nine municipalities revealed that each of them is actively using the website and social media, which is a step forward in improving citizen participation and awareness. Through the website, the population has the opportunity to follow the projects and their implementation. Mentioned service is an easy way to make an announcement, as you can get public information on any issue without leaving home, including cases of budget processes.

While working on the topic was identified a problem - the low interest of the government in supporting citizens to be involved in processing of the budget, which is reflected in the malfunction / incompleteness of the required services. In addition, municipalities do not have a special participatory budgeting program that allows the population to receive information about budget processes. In order to inform citizens and to ensure a high referral rate, it is necessary to launch all the services and programs that will facilitate the active involvement of the population in the processes. The research issue was thoroughly analyzed and were

developed relevant recommendations, which will have a positive impact on both self-governments and citizens.

This paper will be interesting for the civil sector as well as for anyone interested in discussed issue.

***Keywords:** Citizen Involvement, Budget Process, Transparency and Accountability, Participatory Budgeting.*